

დროის მართვის პრობლემები საქართველოს საბიბლიოთეკო
მომსახურებაში - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
მაგალითზე

ზიძინა ჭავჭავაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რესან ქიქავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბიძინა ჭავჭავანიძე

აბსტრაქტი

დროის ეფექტური მართვა და გამოყენება დადებითად მოქმედებს ორგანიზაციის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე. ადამიანები კარგავენ დროს მრავალი მიზეზის გამო. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ჩვევების გაგება და მათი ახლით ჩანაცვლება. დროის მენეჯმენტი, რომელიც წარმოადგენს უდიდეს ორგანიზაციულ ინსტრუმენტს პროდუქტიულობის ასამაღლებლად, არ არის მხოლოდ ინდივიდუალური საქმე, არამედ კოლექტიური პასუხისმგებლობა, რამდენადაც ეს ეხება საქართველოს საჯარო სამსახურის ინსტიტუტებს. როგორც ფიზიკურ პირები, ასევე ორგანიზაციები, არ აფასებენ პრიორიტეტებს, არ აფასებენ და ყურადღებას არ აქცევენ დროს ყოველდღიური საქმიანობის და ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებისას. ეს, ფაქტობრივად, ზოგჯერ იწვევს დაბალ პროდუქტიულობას. დროის ეფექტური მენეჯმენტის აუცილებლობასთან შესაბამისობაში ეს კვლევა ცდილობს შეაფასოს საქართველოს საბიბლიოთეკო მომსახურების დაწესებულებებში გამოყენებული დროის მართვის ტექნიკები, გამოიკვლიოს დროის არაგონივრული კარგვის მიზეზები და საბოლოოდ გამოავლინოს აქტივობები, რომლებიც დროს კარგავს სამუშაო პროცესში. გაარკვიოს, აქვთ თუ არა საბიბლიოთეკო ორგანიზაციების მენეჯერებს და თანამშრომლებს ადეკვატური ცოდნა დროის მენეჯმენტის შესახებ; გაეცნოს სამუშაო დროის ტიპურ ხარჯებს. კვლევის საფუძველზე შემუშავდეს რეკომენდაციები დროის ეფექტურად მართვასთან დაკავშირებით.

კვლევა შედგება შესავალი, ორი თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან. შესავალში წარმოდგენილია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგია. პირველ თავში „ორგანიზაციაში დროის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომები“ ავლენს „დროის მენეჯმენტის“ კონცეფციას, როგორც ბიბლიოთეკის შრომის ეფექტურობის გაუმჯობესების ფაქტორს, მოცემულია მისი ძირითადი პრინციპები; მეორე თავში გაანალიზებულია კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის ინსტრუმენტები; ჩატარებული კვლევის შედეგები; კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია. დასასრულს, კეთდება დასკვნები, შეჯამებულია კვლევის შედეგები.

ამჟამად სულ უფრო აქტუალური ხდება პრობლემა სამუშაო დროის ეფექტური

გამოყენების სფეროში. სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება და აღმოფხვრა უზრუნველყოფს რიტმულ მუშაობას მთელი სამუშაო დღის განმავლობაში, ეფექტურობის საჭირო დონის შენარჩუნებას და შრომის ინტენსივობის მაღალი დონის მიღწევას, რაც უზრუნველყოფს პროდუქტიულ პროდუქტიულ აქტივობას. სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება შეუცვლელი პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების პროცესის ეფექტურობას და დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას. დროის მენეჯმენტის ტექნოლოგიის პრინციპების პრაქტიკული განხორციელება ნებისმიერი საწარმოს საწარმოო პროცესების ორგანიზებაში მათ უაღრესად ეფექტურს გახდის.